დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ დაბა თიანეთის №2 სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

მარიამ მატიაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ირმა ქაფიანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თეა მამულია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ჩილინგარაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ელიზა კუკავა - საინფორმაციო ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ჭანტურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232386824

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თიანეთის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	დაბა თიანეთი, ლაშარის ქუჩა №67
საფოსტო ინდექსი	2500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tianeti2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	597056515

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 10 მარტის MES 0 26 0000295047 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16-17 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

№	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	დაბა თიანეთი, ლაშარის ქუჩა №67 1 შენობა-ნაგებობა
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	დაბა თიანეთი, ლაშარის ქუჩა №67 1 შენობა-ნაგებობა

3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	დაბა თიანეთი, ლაშარის ქუჩა №67 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად გაიმართა საგნობრივ ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, როდესაც განხილულ იქნა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შემუშავდა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის განრიგის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა, დაათვალიერა საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებული დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: დირექციას, მასწავლებლებს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრების მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში შესაბამის საგნობრივ ექსპერტებთან ერთად და თავისი მოსაზრებები თუ რჩევები გაუზიარა მათ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. ექსპერტებმა წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად, გამოკვეთილი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა აქტიურად არის ჩართული არაფორმალურ აქტივობებში, წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში, კერძოდ:

1. 2024 წელს საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაწესებულ კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ სკოლის გუნდმა ფინალში მიიღო მონაწილეობა.
2. 2024 წელს თიანეთის რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ სპორტულ - შემეცნებით შეჯიბრებაში „საუკეთესო სასკოლო საზოგადოება ‘’ სკოლის გუნდი გავიდა I ადგილზე და აიღო თასი.
3. ტურისტული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ სასკოლო ექსკურსიაში ,,ძველი თბილისი“ - მიიღო მონაწილეობა.
4. 2024 წელს კონკურსში „საქართველოს ისტორიის კვალდაკვალ“ სკოლის გუნდმა აიღო I ადგილი.
5. სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღო მედიაწიგნიერების კონკურსში თემაზე: „როგორ გავუმკლავდეთ დეზინფორმაციას“.
6. 2024 – 2025 სასწ.წელს დაბა თიანეთის მერის მიერ ორგანიზებულ სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მაგიდის ჩოგბურთი სკოლის მოსწავლეებმა აიღეს III ადგილი.
7. 2026 წლის თებერვალში მცხეთა- მთიანეთის რეგიონალურ ფრენბურთის თამაშში სკოლის მოსწავლეებმა აიღეს I ადგილი და გადავიდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ტურზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №2	*სასკოლო კურიკულუმი საგაზო/საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №...		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2027 წლის 10 მაისამდე, აიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მქონე ექიმი.
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2027 წლის 10 მაისამდე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დაამონტაჟოს ვიდეოსათვალთვალო სისტემები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა.

ინდიკატორი №3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2028 წლის 10 მაისამდე, პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად გააკეთოს პანდუსი.
სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურები*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი №2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალიწინებულ ვადაში, 2027 წლის 10 მაისამდე, სკოლის შენობის ერთ-ერთ ოთახში, უნდა მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რათა მოსწავლეებმა შეძლონ კვლევებში მონაწილეობა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი №1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო	მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამუშაო ჯგუფში უნდა იყოს თემის წარმომადგენელი. სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს მეთოდოლოგიის დოკუმენტის მოთხოვნა და თემის წარმომადგენელი შეიყვანოს დაგეგმვის ჯგუფში.

	საზოგადოების ჩართულობით	მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ბრძანებაში განსაზღვრული უნდა იყოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, სამუშაო ჯგუფის წევრები, ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო და უფლებამოსილების ვადა. სასურველია, რომ აღნიშნული რეგულაცია გათვალისწინებული იყოს დაგეგმვის ჯგუფის ბრძანებაში.
ინდიკატორი №3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უნდა განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რადგან ამონაწერის მიხედვით სკოლის სახელწოდებაა: თიანეთის მუნიციპალიტეტის ალ. შუშანაშვილის სახელობის №2 საჯარო სკოლა.
სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი №3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	ინტერვენციული პოლიტიკის მექანიზმი სკოლამ გაითვალისწინოს სასკოლო სასწავლო გეგმაში/შინაგანაწესში/ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	ა) სკოლამ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის მდგომარეობის შესაბამისობა. ბ) სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
ინდიკატორი №3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და	სკოლაში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი თავისი შინაარსით უნდა იყოს მორგებული კონკრატული სკოლის სპეციფიკას. დეტალურად და მკაფიოდ იყოს აღწერილი პროცესების თანმიმდევრობა, გამოსაყენებელი ინსტრუმენტები, პროცესებში მონაწილე პირები და ა.შ.

	ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი №.		

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი საფეხურის* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***რჩევა***
ინდიკატორი №2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურველია, მომავალში სასკოლო კურიკულუმის შემუშავების წინ სკოლამ ჩაატაროს კვლევა, რომლის შედეგებსაც ასახავს სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***უცხოური ენები*** სასურველია ცნებები მიეთითოს ყველა თემის ფარგლებში. ასევე, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***სპორტი*** სასურველია, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება და შესაბამის თემაში გაიწეროს ის საკითხები, რომელთა შესასწავლად საჭირო რესურსებიც (ინვენტარი) სკოლას გააჩნია.
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***ესთეტიკური აღზრდა*** საგან სახვითი დაგამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი (1-ელი, მე-3, მე-4, მე-5 კლ.) სასურველია ყველა კლასი გაიწეროს ერთ ჩარჩოში და სრულ შეასაბამისობაში ესგ გრძელვადიან მიზნებთან (სრულად ჩაიწეროს თემატური ბლოკები)
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***სახელმწიფო ენა*** დაწყებით საფეხურზე სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში.

Activate Win
Go to Settings to

ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია დაწყებით, საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან, საკითხთან, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ასახული იქნება საგნობრივ კურიკულუმებში.
ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***მათემატიკა*** სასურველი კურიკულუმში გაწერილი იყოს ის სასწავლო რესურსები რომლებიც მხოლოდ ლინკებად არ იქნება ჩაშენებული და იქნება მრავალფეროვანი ინკლუზიური.
ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***სპორტი*** სასურველია, კურიკულუმებში გაწერილი თემებისთვის (შუალედური მიზნების შესაბამისად) პედაგოგებს ჰქონდეთ წინასწარ განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი დატვირთვა და ეტაპები. აგრეთვე, განსაზღვრული იყოს შესაბამისი აქტივობები, რომლებიც პედაგოგს დაეხმარება თემის სათანადოდ დამუშავებაში.

Activate Window
Go to Settings to activa

ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** სასურველია დაწყებით საფეხურზე, სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან უფრო მეტად იყოს დაკავშირებული.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***მათემატიკა*** შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსობრივ ნაწილში სკოლამ გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები, რაც სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას უზრუნველყოფს.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით საფეხურზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.. სავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***სახელმწიფო ენა*** დაწყებით საფეხურზე, სასურველია, მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას

ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** შეფასების რუბრიკების გაწერის დროს მასწავლებლებმა უნდ იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტებით. კონკრეტულად სამიზნ ცნებებითა და შედეგების მიღწევის ინდიკატორებით.
ინდიკატორი N 2.22.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, აღნიშნული პროცესი უფრო სისტემური გახდეს. რესურსების ვალიდაცია რეგულარულად განიხილებოდეს კათედრის სხდომებზე და მოხდეს ოქმში დანართის სახით ასახვა.
ინდიკატორი 2.22.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***მათემატიკა*** საურველია კათედრის ოქმში სჩანდეს რა დამხმარე სახელმძღვანელოს/ებს იყენებს სკოლა

ინდიკატორი №2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	• სასურველია, ანალიზი მოიცავდეს არა მხოლოდ მონაცემებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, არამედ მასწავლებელთა გამოწვევებსა და ინოვაციების დანერგვის პერსპექტივებსაც. ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის მუდმივ გაუმჯობესებასა და რეაგირებას რეალურ საჭიროებებზე. • ასევე, სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისთვის, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული სტრატეგიები და ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პრობლემების იდენტიფიცირებას, ისე მათ გადაჭრაზე ორიენტირებული წინადადებების ფორმულირებას. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: • უკუკავშირის რეგულარული ფორმების შექმნა: მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირის შეგროვების სისტემატური პროცესი. • მონაცემთა ბაზის შექმნა: შეგროვებული მონაცემების ორგანიზებული შენახვა და ხელმისაწვდომობა.

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი** *საბაზო საფეხურის* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	***რჩევა***
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**უცხოური ენები** სასურველია ცნებები მიეთითოს ყველა თემის ფარგლებში. ასევე, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტი** კურიკულუმებს დაემატოს თემა მძლეოსნობა.
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***ესთეტიკური აღზრდა*** საგან ,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ მე-9 კლასის კურიკულუმში სასურველია ყველა კლასი გაიწეროს ერთ ჩარჩოში და სრულ შეასაბამისობაში ესგ გრძელვადიან მიზნებთან (სრულად ჩაიწეროს თემატური ბლოკები)

ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**სახელმწიფო ენა** საბაზო საფეხურზე სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***სპორტი*** სასურველია, VII კლასში დაწყებული თემა-ოლიმპიზმი-სრულფასოვნად შეისწავლონ საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება-ჯანსაღი ცხოვრების წესი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, შეძლებისდაგვარად სრულად იქნეს განხილული ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიური თამაშები; საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიური თამაშები; პარაოლიმპიური თამაშები; ოლიმპიური სიმბოლოები და სხვ.).

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხური* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი №2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურველია, მომავალში სასკოლო კურიკულუმის შემუშავების წინ სკოლამ ჩაატაროს კვლევა, რომლის შედეგებსაც ასახავს სასკოლო სასწვლო გეგმაში.
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***უცხოური ენები*** სასურველია ცნებები მიეთითოს ყველა თემის ფარგლებში. ასევე, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***სპორტი*** სასურველია, სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს ტანვარჯიშის სწავლება და შესაბამის თემაში გაიწეროს ის საკითხები, რომელთა შესასწავლად საჭირო რესურსებიც (ინვენტარი) სკოლას გააჩნია.
ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან, საკითხთან,

	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ასახული იქნება საგნობრივ კურიკულუმებში.
ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***მათემატიკა*** სასურველი კურიკულუმში გაწერილი იყოს ის სასწავლო რესურსები რომლებიც მხოლოდ ლინკებად არ იქნება ჩაშენებული და იქნება მრავალფეროვანი ინკლუზიური.
ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***სპორტი*** სასურველია, კურიკულუმებში გაწერილი თემებისთვის (შუალედური მიზნების შესაბამისად) პედაგოგებს ჰქონდეთ წინასწარ განსაზღვრული სავარაუდო საათობრივი დატვირთვა და ეტაპები. აგრეთვე, განსაზღვრული იყოს შესაბამისი აქტივობები, რომლებიც პედაგოგს დაეხმარება თემის სათანადოდ დამუშავებაში.
ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** საშუალო საფეხურზე, სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან უფრო მეტად იყოს დაკავშირებული.
ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***მათემატიკა*** შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსობრივ ნაწილში სკოლამ გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები, რაც სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას უზრუნველყოფს.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ საშუალო საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.. სავალდებულო თემაში

		დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***სახელმწიფო ენა*** საშუალო საფეხურზე სასურველია, მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას
ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** შეფასების რუბრიკების გაწერის დროს მასწავლებლებმა უნდა იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტებით. კონკრეტულად სამიზნე ცნებებითა და შედეგების მიღწევის ინდიკატორებით.
ინდიკატორი №2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, აღნიშნული პროცესი უფრო სისტემური გახდეს. რესურსების ვალიდაცია რეგულარულად განიხილებოდეს კათედრის სხდომებზე და მოხდეს ოქმში დანართის სახით ასახვა.
ინდიკატორი №2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***მათემატიკა*** საურველია კათედრის ოქმში სჩანდეს რა დამხმარე სახელმძღვანელოს/ებს იყენებს სკოლა.
ინდიკატორი №2.4.1.1	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	• სასურველია, ანალიზი მოიცავდეს არა მხოლოდ მონაცემებს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, არამედ მასწავლებელთა გამოწვევებსა და ინოვაციების დანერგვის პერსპექტივებსაც. ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის მუდმივ გაუმჯობესებასა და რეაგირებას რეალურ საჭიროებებზე. • ასევე, სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტისთვის, სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული სტრატეგიები და ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პრობლემების იდენტიფიცირებას, ისე მათ

		გადაჭრაზე ორიენტირებული წინადადებების ფორმულირებას. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: • უკუკავშირის რეგულარული ფორმების შექმნა: მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირის შეგროვების სისტემატური პროცესი. • მონაცემთა ბაზის შექმნა: შეგროვებული მონაცემების ორგანიზებული შენახვა და ხელმისაწვდომობა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლას ჰყავდა ექიმი, რომელსაც ჰქონდა ,,ზოგადი პროფილის ექიმი მკურნალის“ სახელმწიფო სერტიფიკატი, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებას. ვიზიტის დროს სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის პოზიციაზე. ასევე არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს 2027 წლის 10 მაისისთვის ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი. ამდენად, **ექსპერტებმა ინდიკატორი №3.1.2.4 ჩათვალეს მეტწილად დაკმაყოფილებულად და გასცეს რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2027 წლის 10 მაისამდე, აიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

2. ვიზიტის დროს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ იყო აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2027 წლის 10 მაისამდე, სკოლა გეგმავს შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დაამონტაჟოს ვიდეოსათვალთვალო სისტემები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. ამ მიზნით სკოლამ წერილით მიმართა თიანეთის მუნიციპალიტეტის მერს,

რომლითაც ითხოვს სკოლის თუნდაც გარე პერიმეტრისთვის ვიდეოსათვალთვალო სისტემების შეძენაში მხარდაჭერას, ასევე 2025 წლის 4 აპრილის №375844 და 2026 წლის 6 თებერვლის №127029 წერილებით მიმართა რესურსცენტრს რათა აღმოუჩინონ დახმარება ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოწყობისთვის. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი №3.4.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2027 წლის 10 მაისამდე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დაამონტაჟებს ვიდეოსათვალთვალო სისტემებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა.

3.ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და თვითშეფასების წარმოდგენის დროს გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლა აღნიშნავდა, რომ 2026 წლის 8 ნოემბრამდე საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას. სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი დეპარტამენტის უფროსის წერილი სკოლის დირექტორის მიმართ, რომლის თანახმად, სსიპ დაბა თიანეთის N2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს, რადგან პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად არ არის ლიფტი/პანდუსი. სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილები მოწყობილი იყო მხოლოდ ვაჟების სველ წერტილში, სადაც არ იყო ძელი. სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ფიქრობს, რომ 2028 წლის 10 მაისამდე პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად გააკეთებს პანდუსს. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი №3.5.1.4. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში,** 2028 წლის 10 მაისამდე, შენობის პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად გააკეთოს პანდუსი. ამასთან, სკოლამ ამ მიზნით 2026 წლის 26 იანვარს №62878 წერილით მიმართა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მოითხოვა მხარდაჭერა სკოლაში პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით მხარდაჭერა. სკოლამ წარმოადგინა ფოტოები, რომლებშიც ჩანს, რომ ადაპტირებული სველ წერტილები მოწყობილია როგორც გოგონების, ასევე ვაჟების სველ წერტილებში, სადაც დამონაჟებულია ძელები.

5. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისად, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა 2027 წლის 10 მაისამდე გეგმავს შენობის ერთ-ერთ ოთახში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას. სკოლამ 2026 წლის 26 იანვარს №62724 წერილით მიმართა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობისა და დამატებით რესურსად ვირტუალური ლაბორატორიის შესაძენად მხარდაჭერის შესახებ.

ამდენად, ექსპერტმა ჩათვალა, რომ **ინდიკატორი №2.2.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია,** რომ სკოლამ შესაბამისობის გათვალიწინებულ ვადაში, 2027 წლის 10 მაისამდე, სკოლის შენობის ერთ-ერთ ოთახში, უნდა მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რათა მოსწავლეებმა შეძლონ კვლევებში მონაწილეობა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია:

აღზარდოს ინტელექტუალური, მაღალი ზნეობის, პატრიოტი, გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე სრულყოფილი პიროვნება. შექმნას შესაბამისი გარემო მოსწავლეთათვის თავისუფალი, შემოქმედი, ინტერკულტურული სამოქალაქო ცნობიერებისა და ტოლერანტობის ჩამოყალიბებისთვის. სწავლა-სწავლების სიღრმისეული შემეცნებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის

სკოლის ხედვა:

სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლა, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთთანამშრომლობაზე, პატივისცემასა და ტოლერანტობაზე შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით. უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ემოციურ კეთილდღეობას, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების მუდმივ ზრდას.

სკოლის ღირებულებები:

1.თანამშრომლობა; 2. გუნდურობა; 3. გამჭირვალობა; 4. დემოკრატია; 5. ობიექტურობა; 6. განვითარება და ინოვაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისიასა და ხედვაში კარგად ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი, რომ მათ მოსწავლეებს ექნებათ 21-ე საუკუნისთვის საჭირო კომპეტენციები და უნარები, იქნებიან ინტელექტუალური, პატრიოტი და ტოლერანტი მოქალაქეები. სკოლა საკუთარ როლს ხედავს ისეთი გარემოს ჩამოყალიბებაში, სადაც მოსწავლე შეძლებს ჩამოყალიბდეს თავისუფალ, ინტერკულტურული ცნობიერების ადამიანად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, დირექტორის ბრძანებით შექმნილია სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მასზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები: ა) სკოლის დირექტორი ბ) ბუღალტერი; გ) საქმისმწარმოებელი დ) მასწავლებლები; ე) მოსწავლე/წარმომადგენელი მოსწავლეთა თვითმმართველობიდან; ვ) მშობელი.

ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება (არსებობის შემთხვევაში - მათი გადახედვა).ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის ჯგუფმა გადახედა მისიას, შეიტანა გარკვეული ცვლილებები, მისიის პროექტის საფუძველზე შექმნა სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო ეგეგმის პროექტები. აღნიშნული პროექტები დაგეგმვის ჯგუფის წევრებმა წინასწარ გაუგზავნეს სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით სასკოლო საზოგადოების წევრებს გასაცნობად, ამის შემდეგ მოიწვიეს საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდა 43 მშობელი და 26 საბაზო/საშუალო საფეხურების მოსწავლე. კრებაზე მიღებული უკუკავშირების საფუძველზე დაგეგმვის ჯგუფმა ჩამოაყალიბა შექმნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც გააცნო და შეათანხმა სამეურვეო საბჭოსთან, შემდგომ კი სტრატეგიული გეგმა დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ, ხოლო ერთწლიანი გეგმა-სკოლის დირექტორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამუშაო ჯგუფში უნდა იყოს თემის წარმომადგენელი. სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს მეთოდოლოგიის დოკუმენტის მოთხოვნა და თემის წარმომადგენელი შეიყვანოს დაგეგმვის ჯგუფში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ბრძანებაში განსაზღვრული უნდა იყოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, სამუშაო ჯგუფის წევრები, ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო და უფლებამოსილების ვადა. სასურველია, რომ აღნიშნული რეგულაცია გათვალისწინებული იყოს დაგეგმვის ჯგუფის ბრძანებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლამ მისია, ხედვა და ღირებულებები გააცნო სკოლის მასწავლებლებს პედაგოგიურ საბჭოზე, დამრიგებლებმა - საკუთარი კლასების მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მშობელთა კრებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია და ხედვა ყველასათვის საჯაროა და ხელმისაწვდომი. სკოლის მისია განთავსებულია პლაკატის სახით ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებში: სკოლის ფოიეში, სამასწავლებლოში. სკოლის მისია და ხედვა ატვირთულია ასევე სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება: სსიპ-დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლა-შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ
- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ
- საერთო კრების ოქმი №1
- საკლასო კრებების ოქმები
- მშობელთა კრებების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს
სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში

ჩართული მხარეები, დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, გაიზიარების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესის აღწერა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესის აღწერა, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლაში შემუშავებულია, განხილულია სამეურვეო საბჭოს მიერ და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სსიპ-დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2025-2032 წლები), რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას. გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად სტრატეგიულ მიზნებს და წლების მიხედვით გაწერილი მიზნების შესაბამის ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს 7 სტრატეგიულ მიმართულებას:

ა) სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

ბ)ადამიანური რესურსის განვითარება;

გ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

დ) უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;

ე) სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

ვ) მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

ზ) ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლაში შემუშავებულია, განხილულია სასკოლო საზოგადოების მიერ და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ ერთწლიანი 2025-2026 სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

2025-2026 წლის სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამ ამოცანების შესაბამისად განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სამეურვე საბჭოს ოქმები სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებაზე
ერთწლიანი გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ და ზრდის საზოგადოების წდობას. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორიგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ყოველი 2 წლის ბოლოს და 7 წლის შესრულებისთანავე სამეურვეო საბჭოს მიერ განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლა ხელმძღვანელობს საჯარო სკოლის წესდებით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები. საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლას ჰყავს

დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში, 3 სპეცმასწავლებელი, 2 ასისტენტი და 21 საგნის მასწავლებელი. მათი ფუნქციები გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, ფუნქციების აღმწერი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა თითოეული სტრუქტურული ერთეულის მუშაობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
- სკოლის საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა. სკოლა ადამიანური რესურსის შერჩევა-დასაქმებისა და გათავისუფლების საკითხების შეთხვევაში ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით. ბრძანების შესაბამისად ცხადდება კონკურსი, სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა

შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, თანამშრომლის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესში აღნიშნულია, მე-4 მუხლი რომ წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.

რაც შეეხება ინტერვენციულ პოლიტიკას, სკოლამ წარმოადგინა აღწერილობა, თუ რა ფორმებით შეიძლება ჩანაცვლების განხორციელება, რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. თითეული ჩანაცვლება ფიქსირდება შესაბამის ჟურნალში.

რჩევა: ინტერვენციული პოლიტიკის მექანიზმი სკოლამ გაითვალისწინოს ან სასკოლო სასწავლო გეგმაში, ან შინაგანაწესში ან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა რეგულაციის შესაბამისად წარმოებული პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძნანებები, კონკურსის ოქმები. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33^1-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომელთა შერჩევისას მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც სკოლას გაწერილი აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში,

სკოლას ჰყავს 21 საგნის მასწავლებელი, სსსმ პირის მასწავლებელი და სსსმ პირის ასისტენტი.

ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლას ჰყავდა ექიმი, რომელსაც ჰქონდა ,,ზოგადი პროფილის ექიმი მკურნალის" სახელმწიფო სერტიფიკატი, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებას. ვიზიტის დროს სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის პოზიციაზე. ასევე არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს 2027 წლის 10 მაისისთვის ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი. ამდენად, **ექსპერტებმა ინდიკატორი ჩათვალეს მეტწილად დაკმაყოფილებულად და გასცეს რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2027 წლის 10 მაისამდე, აიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების და კათედრების ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის შემუშავების რეგულაცია, ეს ყველაფერი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, მე-10 მუხლში აღნიშნულია, წახალისების ფორმების და წახალისების გამოყენების წესი, კერძოდ:

პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები; ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ ბრძანება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება თანამშრომლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია: ჯგუფის დებულება, ჯგუფის ანგარიშები, სამოქმედო გეგმა, პროფესიული საჭიროებათა დასადგენი ანკეტები, კვლევის შედეგები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. წინა წლებში სკოლის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგკურსებში. ამასთან, სკოლა აქტიურად ზრუნავს შიდასასკოლო მექანიზმებით მასწავლებელთა განვითარებაზე, რომლის მიზანია გამოცდილების გაზიარება, ურთიერთთანამშრომლობა, პროფესიული ზრდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში შემუშავებულია ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების, ადაპტაციისა და ინტეგრაციის წესი. დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლის მიღებისა და ადაპტაციის პროცესები დროითი მონაკვეთებისა და შესაბამის პერიოდში განსახორციელებელი აქტივობების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას. სკოლა ასევე ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. მნიშვნელოვანია, რომ კათედრის დონეზე ხდება მასწავლებელთა ურთიერთმხარდაჭერა. მასწავლებლებს ასევე დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ტრენინგებსა და ვებინარებზე შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლაში ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების, ადაპტაციისა და ინტეგრაციის წესის შესახებ

- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლაში დირექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის №2-83 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: ა) ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი; ბ) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან რისკების შეფასება და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა. გ) არაგეგმური შემოწმება დ) შეფასების განხორციელება; ე) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ვ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

რჩევა: მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი თავისი შინაარსით იყოს მორგებული კონკრეტული სკოლის სპეციფიკას, დეტალურად და მკაფიოდ იყოს აღწერილი პროცესების

თანმიმდევრობა, გამოსაყენებელი ინსტრუმენტები, პროცესებში მონაწილე პირები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტშია გაწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები: მმართველობითს მიეკუთვნება: სტრატეგიული დაგეგმა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითადს: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაცია სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის მექანიზმი-,,გასაჩივრების დეტალური პროცედურები.“დოკუმენტში გაწერილია საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, წარმომადგენლობის უფლება, განხილვის ვადები, საჩივრის ტიპები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, ,,გასაჩივრების დეტალური პროცედურა“, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,საჩივრის დეტალური პროცედურების“ შესახებ
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და მასალებით დადგინდა, სკოლა გარე კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელში დახურულ ჯგუფებს. აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და უკუკავშირის პროცესების სისწრაფეს. სკოლის ელფოსტითა და ფეისბუქზე სოციალური დახურული ჯგუფებით მასწავლებლები, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას, მშობლებს, მასწავლებლებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით. შემოსული შეკითხვებს, ინიციატივებსა და შენიშვნებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი- სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, პროფესიული განვითარების ჯგუფი. ყველა ორგანო და რგოლი მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციის ფარგლებში საქმიანობს, ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, იღებს გადაწყვეტილებებს. ამდენად, უზრუნველყოფილია მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

საჯარო სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით. სკოლას ჰყავს მხოლოდ დარაჯი, რომელიც აკონტროლებს შენობაში შესვლა-გამოსვლას. ვიზიტის დროს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არ იყო აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით, შესვენებებზე მორიგეობენ მასწავლებლები წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2027 წლის 10 მაისამდე, სკოლა გეგმავს შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დაამონტაჟოს ვიდეოსათვალთვალო სისტემები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. ამ მიზნით სკოლამ წერილით მიმართა თიანეთის მუნიციპალიტეტის მერს, რომლითაც ითხოვს სკოლის თუნდაც გარე პერიმეტრისთვის ვიდეოსათვალთვალო სისტემების შეძენაში მხარდაჭერას, ასევე 2025 წლის 4 აპრილის №375844 და 2026 წლის 6 თებერვლის №127029 წერილებით მიმართა რესურსცენტრს რათა აღმოუჩინონ დახმარება ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოწყობისთვის. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია:** სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2027 წლის 10 მაისამდე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დაამონტაჟოს

ვიდეოსათვალთვალო სისტემები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა.

ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. თვითშეფასების წარმოდგენის დროს გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნავდა, რომ 2026 წლის 8 ნოემბრამდე საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას. სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტი დეპარტამენტის უფროსის წერილი სკოლის დირექტორის მიმართ, რომლის თანახმად, სსიპ დაბა თიანეთის N2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, სსიპ-დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლოატაციისათვის.

რაც შეეხება **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ,** სკოლის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე ყველა სართულზე. სკოლამ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების შენობის შესაბამისობის დასკვნის მიღების თაობაზე. 2026 წლის 16 თებერვალს სკოლამ სააგენტოსგან მიიღო სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, რომლითაც სკოლის შენობაზე გაცემულია რეკომენდაციები, რათა დაკმაყოფილდეს **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან** სკოლის შენობის მდგომარეობა.

რჩევა: ა) სკოლამ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის მდგომარეობის შესაბამისობა.

ბ) სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია ყველა იმ ინვენტარით, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრების ბრძანებით, კერძოდ, კაბინეტში არის ხელსაბანი, საზომი, საკეტიანი კარადა

წამლებისათვის, კომპიუტერი, სამედიცინო ტახტი, შირმა, მაცივარი, საკაცე და სხვა. ექიმი აწარმოებს მინისტრების ბრძანების შესაბამისად ჟურნალებს ელექტრონულად. მას აქვს ,,ზოგადი პროფილის ექიმი მკურნალის“ სახელმწიფო სერტიფიკატი, შემუშავებულია სამედიცინო კაბინეტის დებულება. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რომელმაც 2023 წელს გაიარა ქვეპროგრამის, ,,მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის“, ფარგლებში სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგმოდული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს მთელი სკოლა: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სპეცმასწავლებლები და მათი ასისტენტები და დამრიგებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას საშტატო განრიგის მიხედვით, ემსახურება 1 დამლაგებელი, რომელიც ასუფთავებს სკოლის შიდა პერიმეტრს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლის შენობის პირველ სართულზე არის ცალ-ცალკე სანიტარული კვანძები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. გარდა ამისა, დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხიმგებელი პირი-საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში ინფორმაცია დაცულია ელექტრონულ ჟურნალში, რომლის წარმოებზე პასუხისმგებელია თითოეული საგნის მასწავლებელი. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის

შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. ასევე მნიშვნელოვანი მასალები ინახება საქმისმწარმოებელთან კარადებში, რომელიც იკეტება. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სკოლის დირექტორის წერილი სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით.

- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ.
- მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული სერტიფიკატი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სკოლის შენობა მდებარეობს მდებარეობს დაბა თიანეთში, ლაშარის ქუჩა №67, მიწის ფართობია 8079,00 კვ.მ., ხოლო შენობა-ნაგებობის - 1464 კვ.მ. მიწისა და შენობების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე - თიანეთის მუნიციპალიტეტის ალ.შუშანაშვილის სახელობის №2 საჯარო სკოლა (232386824) არსებობის ვადით. შენობა 2-სართულიანია, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები, კომპიუტერული ოთახი, ბიბლიოთეკა, დირექტორისა და ბუღალტრისთვის ოთახები, რესურსოთახი, სხვადასხვა სასწავლო თუ ტექნიკური რესურსის შესანახი ოთახი, სამასწავლებლო, ოთახი დარაჯისთვის, სკოლას შეძენილი აქვს 150 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლის შენობაში არის დიდი სპორტული დარბაზი შესაბამისი სპორტული ინვენტარით, ასევე მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ უნდა განაახლოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

მოსწავლეებისთვის სკოლის შენობაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დიდი და ფართე დერეფნები, ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სპორტული დარბაზი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ოთახით გაკვეთილების შემდეგ და დერეფანში არსებული მაგიდის ჩოგბურთის მაგიდით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია თაროები წიგნებით, მაგიდები. სკამები. არსებობს EXCEL-ში დამუშავებული წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა მოსწავლეთა ფორმულარები, სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტები მშობელსა და დირექტორს შორის. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო პრინციპით. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკა მუშაობს 9 საათიდან 5

საათამდე. ბიბლიოთეკაში არის როგორც სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია სკოლის ბიბლიოთეკარმა გაიაროს ტრენინგი საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების თაობაზე

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. შენობის პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელია ბუნებრივი პანდუსით. პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად არ არის არც ლიფტი/პანდუსი. სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილები მოწყობილია მხოლოდ ვაჟების სველ წერტილში, სადაც არ იყო ძელი. სკოლის შენობაში რესურსოთახია, სადაც მოსწავლეებს ემსახურება სპეცმასწავლებელი და ასისტენტი. სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ფიქრობს, რომ 2028 წლის 10 მაისამდე პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად გააკეთებს პანდუსს. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში,** 2028 წლის 10 მაისამდე, შენობის პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად გააკეთოს პანდუსი. ამასთან, სკოლამ ამ მიზნით 2026 წლის 26 იანვარს №62878 წერილით მიმართა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მოითხოვა მხარდაჭერა სკოლაში პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით მხარდაჭერა.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა: სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, დიდი და ფართე დერეფნები ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, საინტერესო პროექტები, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერესო ადამიანებთან. შენობაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა აქტივობის ჩატარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია
- სკოლის დირექტორის ბრძანება ბიბლიოთეკის დებულების შესახებ
- ხელშეკრულებები მშობლებთან

- ხელშეკრულებები დამრიგებლებთან
- საინვენტარი წიგნი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლას აქვს ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა-კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 22 კომპიუტერი. სკოლას სულ აქვს 50 ლეპტოპი, 5 პრინტერი, 2 პროექტორი, 5 მონიტორი. გარდა კომპიუტერული ოთახისა, კომპიუტერები აქვთ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს: დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, მასწავლებლებს, ექიმს, ბიბლიოთეკარს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ,,IT ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება)“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის/ტექნოლოგიების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 ოქტომბრის №2-66 ბრძანებით დამტკიცებული ,,IT ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება)“

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომლის მიხედვით საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაციის (განცხადება, წერილი, საჩივარი, დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, ინსტრუქცია, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება.

სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი
- ხელშეკრულება სკოლის საქმისმწარმოებელთან

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სხვადასხვა საშუალებითა და არხებით, კერძოდ: ვებგვერდზე: https://skolebi.emis.ge/schools/ სკოლას აქვს საკუთარი გვერდი, ასევე სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდი, სოციალურ ჯგუფში დახურული ჯგუფები მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის, განსაკუთრებით კი მშობლებისათვის. სკოლის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებია: ელექტრონული ფოსტა, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფა, ელექტრონული ჟურნალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორამაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს თავისი გვერდი პორტალზე https://skolebi.emis.ge, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრავს სტანდარტი, სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

https://skolebi.emis.ge

ბრძანება საჯარო ინფორამაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის-სკოლის საქმისმწარმოებლის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახულია ფინანსები, რომლებიც საჭიროა გეგმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად. გეგმის სვეტში-არსებული რესურსი-იგულისხმება სკოლის ბიუჯეტის თანხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ბიუჯეტის შემუშავების რეგულაცია, რომლის მიხედვით ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობენ სკოლის დირექცია, ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები. ისინი ერთობლივად განსაზღვრავენ სკოლის ძირითად საჭიროებებს და გადაწყვეტილებას იღებენ წინა წლის გამოცდილების, სასწავლო შედეგებისა და არსებული რესურსების ანალიზის საფუძველზე. ბიუჯეტი ნაწილდება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. დირექტორის მიერ შედგენილი ბიუჯეტი წარედგინება სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას. დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ფინანსური ანგარიში
სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით სკოლას აქვს შინაგანაწესი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით “.

სკოლაში 2025 წლის 3 ოქტომბრის №2-106 ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედიან: სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედსაბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმდომარემ სულ 5 წევრია. აღნიშნული საბჭო უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც,

თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობების, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მოსწავლეების სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის ინიცირების გაზიარების/განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ. ასევე იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები და სხვ.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებას თან ახლავს მშობლის თანხმობა მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც შედგენილია მინისტრის ბრძანებების შესაბამისად, აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში. სკოლამ წარმოადგინდა კლასიდან კლასში გადაყვანის, მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის ბრძანებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ ყველა ყველა იმ წესს, რომლებიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5“-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის 70 გაცდენის გამო, ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება. სკოლის სურვილია რეგიონში მყოფ მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო ყველანაირი მომსახურება მიიღონ ადგილზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში, პროექტებსა და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებულობას და მათგან იღებს თანხმობას. აგრეთვე ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე. სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები
- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, მოსწავლეთა მიღება, სწავლის

დაწყების პირველ დღეს. აგრეთვე, დეზადაპტაციის ნიშნების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის დებულება, სადაც დეტალურად არის აღწერილი როგორ უზრუნველყოფს ხელს მოსწავლის ადაპტაციის პროცესისი გავლაში. დებულების თანახმად, პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითქმის ყველა რგოლი. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ენიჭება კლასის დამრიგებელს, რომელიც წარუდგენს კლასს ახალ მოსწავლეს და ხელს უწყობს მას გაიცნო და დაუმეგობრდეს ახალ კლასელებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი, რომელიც გულისხმობს დამატებით მხარდაჭერას მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით მუშაობისას ვერ შეისწავლეს ძირითადი საგნობრივი ცნებები და ვერ განივითარეს სათანადო უნარ-ჩვევები დამაკმაყოფილებელ დონეზე. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის განხილული პროცესში ჩართული მხარეები, პროცესების განხორიცელება და მათი მონიტორინგი. სკოლამ აგრეთვე, ნიმუშის სახით წარმოადგინა რემედიაციის გეგმა ისტორიაში, მეთერთმეტე კლასისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლას შეუშავებული აქვს შნაგანაწესი, რომელიც უწრუნველყოფს დადგენილ ვადებში ადმინისტრაციულ მხარადჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლას აგრეთვე აქვს შემუშავებული განცხადებების და საჩივრების განხილვის წესის დოკუმენტი. აგრეთვე, დოკუმნეტში - „ტრანზიციის დებულება“ დეტალირად არის გაწერილი საქმის მწარმოებლის, დამრიგებლის მოვალეობები, რომელიც უზრუნველყფს მოსწავლის უფლებების რეალიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლაში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა სასკოლო ღონისძიება. სკოლაში ყოველწლიურად ეწყობა ხელბურთის ჩემპიონატი. გუნდებს ვარჯიშში მხარდაჭერას უწევს სკოლის სპორტის მასწავლებელი. ასევე, სკოლაში იმართება სხვა და სხვა ვიქტორინა და თემატური ღონისძება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

ამ დროისათვის სკოლა მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს იღებს სიტყვიერად. სამომავლოდ, მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სკოლა გეგმავს განახორციელოს კვლევა სუსტი მხარეების გამოსავლენად და საჭირო ცვლილებების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რემედიაციის წესი;
- მოსწავლესთან გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები;
- ტრანზიციის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- განცხადების/საჩივრის განხილვის წესი;
- თვითმმართველობის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეები პერიოდულად სტუმრობენ სამედიცინო ცენტრს, საპატრულო პოლიციას, რაიონულ სასამართლოს, პროკურატურას, იწვევენ სკოლაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურეობა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება, მაგრამ ამჟამად ეს აქტივობა ამ ფორმით აღარ ხორციელდება. სკოლას გაფორებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯთან. სკოლამ ორგანიზება გაუწია კოლეჯის ადმინისტრაციისა და დაინტერესებული პირბის შეხვედრას. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლამ განახორციელა პროექტი - „ვიპოვოთ ჩვენი თავი“. პროექტის მიზანი იყო მოსწავლეთა დახმარება პროფესიის არჩევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა აქტიურად განახორციელებს წარამტებულ კურსდამთავრებულებთან შეხვედრებს. შეხვედრების ფარგლებში კურსდამთავრებულები უზიარებენ მოსწავლეებს მათ მიერ გავლილ გზას წარმატებამდე. როგორ აირჩიეს პროფესია და ა.შ. აგრეთვე, სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შემდეგ, სკოლა იღებს სიტყვიერ უკუკავშირს მომსახურების გაუმჯობესების მიზნით და ითვალისწინებს გაწეული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით აქტივობების დაგეგმვისას. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად ჩაატაროს კმაყოფილების კვლევა სასკოლო საზოგადოებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში განხორციელებული პრექტი „ვიპოვოთ ჩვენი თავი“;
- თანამშრმლობის მემორანდუმი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანამანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი. დოკუმენტში ასახულია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების, მოსწავლის სტატუსის მქონე პირებისათვის სსსმ სტატუსის მოპოვების, სსსმ სტატუსის მოხსნის, ინდივიდუალური

სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი, სკოლის ვალდებულებები, სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაციები. სკოლას აგრეთვე შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა სსსმ მოსწავლისათვის. სსსმ მოსწავლეებთან გაწეული სამუშაოს ეფექტიანობის შეფასების მიზნით, სკოლა განახორციელებს შიდა მონიტორინგს, აღნიშნულის განსახორციელებლად კი მას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითაების მხარდაჭერის მიზნით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი რეგულარულად, სასაწავლო სემესტრის განმავლობაში ორჯერ ხვდება და განიხილავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობას, მის სასწავლო მიზნებს, მიღწევებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას. ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმის თანახმად, დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, მუდმივ კომუნიკაციაში არიან მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით უზრუნველყოფილია მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება მოსწავლის მხარდაჭერისა და სახლის პირობებში მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ფუნქციური უნარების განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სსიპ დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი;
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო)***

მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი არ შეფასდა.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი არ შეფასდა.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი არ შეფასდა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მასში გათვალისწინებულია პროცესის ციკლურობა, რაც გულისხმობს კურიკულუმის დანერგვას/რეალიზებას, მონიტორინგსა და შეფასებას. ასევე, მის გადასინჯვასა და რევიზიას. კურიკულუმით განსაზღვრულია სწავლა-სწავლების პროცესის საკვანძო ორიენტირები, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით ხდება. კურიკულუმის განვითარების პროცესში პასუხისმგებლობა ეკისრებათ კათედრის თავმჯდომარეებსა და დირექტორს. კათედრის თავმჯდომარეები უზრუნველყოფენ მასწავლებლების ინფორმირებას და მონაცემების შეგროვებას, აგრეთვე, კათედრის სხდომების ფასილიტირებას პრობლემური საკითხების განსახილველად. ისინი, ასევე, არიან დამაკავშირებელი რგოლები დირექციასა და პედაგოგებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში რამდენიმე ასპექტი მიუთითებს იმაზე, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, კურიკულუმი აღწერილია, როგორც დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისათვის. დოკუმენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ კურიკულუმი წარმატებით ინერგება მაშინ, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება ხორციელდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ წარმატებული დანერგვისთვის კურიკულუმის შინაარსს უნდა იზიარებდნენ და მის განვითარებაში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული მხარეებს ეკისრებათ სხვადასხვა ვალდებულება. მასწავლებელი ვალდებულია აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს. კათედრის თავმჯდომარე ვალდებული არის უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც თავის მხრივ ადასტურებს იმას რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, კურიკულუმის დაგეგმვის საფუძველია კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ შინაარსის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის მიერ ცოდნის დამოუკიდებელ კონსტრუირებაზე. დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე გამოცდილება, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. შუალედური მიზნები, ანუ კომპლექსური ბუნების დავალებები საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია და კავშირშია სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული დავალების იდეები, რომლებიც კომპლექსური ბუნებისაა, ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და

	ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი ასაკობრივი თავისებურებები, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათდრაზე შემუშავებული კურიკულუმები(სამი საფეხურის) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება ესგ. შემუშავებული კურიკულუმი უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის შემოქმედებითობას და ცოდნის სამივე დონის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე,უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მოწოდებულ კურიკულუმებში, ასახულია სამივე სამიზნე ცნება და ყველა ის თემა რომელიც წლის განმავლობაში არის შესასწავლი. ამასთან უნდა აღინიშნოს რომ სკოლა იყენებს ძირითად გრიფირებულ სასწავლო რესურსს, რომელიც მიზნის მიღწევაში ეხმარება სკოლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, აგრეთვე დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები, ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და მიმართულია მათი ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების ჩამოყალიბებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული. პედაგოგი გეგმავს სწავლების პროცესს თემატურად და თანმიმდევრულად, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, თანამშრომლობს სპეციალურ მასწავლებელთან და იყენებს ისგ-ს.

	კურიკულუმი მხარს უჭერს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ სწავლებას და ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობასა და განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I–IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები... კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ **დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმის სტრუქტურა საბუნებისმეტყველო საგნებში ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემაზე, არამედ **სამიზნე ცნებების** გააზრებაზე. თითოეული თემა და კომპლექსური დავალება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან შედეგებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სიღრმისეული და კონსტრუქციული ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, თემა, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, დავალების იდეა/მიზანი, რესურსები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ახორციელებენ საინტერესო პროექტებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს. მოქალაქეობაში წარმოდგენილია პროექტები, რომლებიც ისეთი პრიორიტეტული უნარების განვითარებას უწყობს ხელს, როგორიცაა თვითშეფასება, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება, ადამიანი უფლებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, რომლებიც თემის ფარგლებში მეტნაკლებად იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შესაძლებელს ხდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ

	დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	საგან სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში და მუსიკაში წარმოდგენილია საწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმი,გაწერილია ესგ მიზნებზე დაფუძნებით და მეტწილად შეესაბამება მის მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები,დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მოწოდებული კურიკულუმები სამივე საფეხურზე შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებსა და სტანდარტებს. მათში დეტალურად არის გაწერილი ყველა **სამიზნე ცნება**, ქვეცნებები და ის თემატური ბლოკები, რომელთა დაძლევაც აუცილებელია სასწავლო წლის განმავლობაში. კურიკულუმის სტრუქტურაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი **ცოდნის სამივე კატეგორიაზე** (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) განსაკუთრებული აქცენტი კეთდება **შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე**, რომლებიც სასწავლო პროცესის მთავარი კომპონენტს წარმოადგენს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმის ჩარჩოში ნათლად არის ასახული სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებები. განხორციელების პროცესში განსაზღვრულია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვენტარი

	და სასწავლო ელექტრონული რესურსები. კომპლექსური ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფს სტანდარტებით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების განვითარებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ წინსვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები წარმოადგენს მრავალფეროვან არჩევანს, რომელიც სახელმძღვანელოს ჩარჩოებს სცდება. რესურსები შერჩეულია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრების ხელშესაწყობად. თითოეული თემის ფარგლებში გამოყენებულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამხმარე რესურსები: ვიზუალური მასალა, სტატიები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სახით წარმოდგენილია ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსების ბმულები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ თანამედროვე, სწრაფად ცვლად სამყაროში, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი, მრავალფეროვანი და

	საინტერესო რესურსების გამოყენება, ამიტომ გეგმავნენ მათ დახვეწაასა და გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები (გრიფირებული და დამატებითი სახელმძღვანელოები), ინტერნეტ-პლატფორმები, ფოტოვიდეო და აუდიო მასალები, ელექტრონული ბმულები). მათი შესაბამისად გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რესურსი: გრიფირებული სახელმძღვანელოები, აუდი-ვიდეო მასალა, თემატურად შრჩეული დამატებითი რესურსი, ტექნოლოგიური მოწყობილობები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე ციფრული და მატერიალური რესურსები, ვიდეო თუ აუდიო მასალა, რომლებიც უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს და განაპირობებს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა იყენებს იმ სასწავლო რესურსს რომელიც კურიკულუმში აქვთ გაწერილი, ეს რესურსები ძირითადად ჰიპერლინკებად არის ჩაშენებული და აღწერს იმ თემის პრაქტიკულ და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ, საინტერესო ვიდრო აღწერებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული თემების შესაბამისი სპორტული ინვენტარი, სასწავლო ელექტრონული რესურსები და სახელმძღვანელოები საკმარისია მოსწავლეთა მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო მასალები, ძირითადად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, რეკომენდებულია რესურსების მეტად მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და მაგალითების უფრო მკაფიოდ და გასაგებად წარმოდგენა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები ნაკლებად იძლევა სწავლების დიფერენცირების შესაძლებლობას, თუმცა სკოლას წარმოდგენილი აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები და დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს აღნიშნულს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები. საგნების მიხედვით განახორციელა სადიაგოსტიკო შეფასება. როგორც პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი მათ დაეხმარათ დიფერენცირებულ მიდგომებში, ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. პედაგოგებს აქვთ მზაობა მრავალფეროვანი

	აქტივობებით და რესურსებით მაქსიმალურად შეძლონ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება და აქტიური ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	პედაგოგებს აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები და აქვს გამოცდილება ამ მოსწავლეებთან მუშაობისა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისა. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და უცხოური ენების პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული, ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე გათვლილი აქტივობები. მრავალფეროვანი რესურსები და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი ინდ გეგმები და მასწავლებლებთან გასაუბრება მოცემულ საკითხზე (თუ როგორ გარდაქმნიან და არგებენ მოსწავლის საჭიროებებს/უნარებს დავალებებს) ცხადყოფს,რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს,ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები,რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება,საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას.სასწავლო მასალის წარდგენისას იყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ და თეორიულ მასალას,რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების, გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის მასწავლებლები მუშაობენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების ერთიანი მექანიზმზმით, რაც იძლევა თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების

	აღწერის შესაძლებლობას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების ფორმები და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული რესურსები. აგრეთვე სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები. ამასთან ერთად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები აქტიურად იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებულ, მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებზე მორგებულ აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგი საჭიროების მიხედვით ადგენს დავალებებს და წარმოდგენილი ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ), რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და ეფექტიან განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგემის მოთხოვნებთან. რუბრიკები შეესაბემება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მოსწავლეთა მიღწევის ინდიკატორებს. სკლოლის მიერ წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით. კურიკულუმის

	განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს ,რომ სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე გაერთიანებულ საგნებში შემუშავებული შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, შეილება ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ჩანს,რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.კათედრამ წარმოადგინა როგორც შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალებების შეფასების , ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასახავს მოსწავლის მიღწევებზე დაკვირვების კარგ ინდიკატორს, სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ასევე ის ახდენ მიზნობრივ ფოკუსირებას თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში გაწერილი თემებთან და დაგეგმილი შუალედურ მიზნებთან დართულიგანმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებზეა

	ორიენტირებული, პედაგოგები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერ კომენტარებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური თვისებების და ორგანიზებულობის, თვითკონტროლის განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მასწავლებელმა წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების მაგალითები, ასევე მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ადასტურებს შეფასების პროცესის სისტემურობას და მის ორიენტაციას მოსწავლეთა პროგრესისა და შედეგების ეფექტიან მონიტორინგზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- სადიაგნოსტიკო შეფასების დოკუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია დაწესებულების მიერ დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმების საფუძველზე. ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის (საგნობრივი კათედრების ოქმები) ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო თემები, მისაღწევი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები მეტწილად თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საბუნებისმეტყველო საგნების უმეტესი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ აქტივობები მიმართულია მოსწავლეებში კომპლექსური და ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა, ოქმები, დირექტორისა და კოლეგების ურთერთდასწრების შედეგები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აანალიზებენ შედეგებს,ერთმანეთს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს და კიითვალისწინებენ ახლი კურიკულუმის შემუშავების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი წარიმართა წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო მიზნების, რესურსების, შემოქმედებითი ტიპის დავალებების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ პედაგოგებთან ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესი დინამიკურია და ორიენტირებულია განვითარებაზე. კათედრა აკვირდება და აანალიზებს კურიკულუმის განხორციელების პროცესს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში და არგებენ მას მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებს. დაგეგმვის არსებული მოდელი მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, თითოეული მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართოს, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ რეალიზებასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ თემებში გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და საკითხებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც მოიცავს საგნობრივი თემების სისტემურ დაგეგმვას, აქტივობების მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ დიფერენცირებას, შესაბამისი რესურსებისა და ციფრული პლატფორმების გამოყენებას, ასევე სასწავლო შედეგების დაკავშირებას განსაზღვრულ კომპეტენციებსა და მიზნებთან. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასების მაგალითები, რაც ადასტურებს სწავლა-სწავლების პროცესის

	თანმიმდევრულობას, მიზნობრივ დაგეგმვას და მოსწავლეთა განვითარების ეფექტიან მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კურიკულუმის განვითარება მოიცავს ოთხ ფაზას: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, და გადასინჯვა და რევიზია. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს. ისინი აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. კათედრის თავმჯდომარეები ატარებენ კათედრის სხდომებს, რათა შეისწავლონ დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემები და დანერგონ ინოვაციები. სკოლა ყოველწლიურად განაახლებს სასკოლო სასწავლო გეგმას. ეს პროცესები უზრუნველყოფს, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე და მუდმივად აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. მასწავლებლები მუდმივად ახდენენ პროექტული ტიპის დავალებების პირობების ადაპტირებას კლასის დინამიკისა და მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები, სადიაგნოსტიკო შეფასებები და მასწავლებლების მიერ გაცემული უკუკავშირები. თუმცა შეფასების რუბრიკებში არ არის გამოკვეთილი ის კრიტერიუმები, რომლებიც კავშირშია საგნობრივ სტანდარტებთან,ინდიკატორებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურად არის გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პედაგოგის მიერ გაწერილი შეფასების ინსტრუმენტი. კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი (დაწყებითი, საბაზო და

	საშუალო საფეხურის) შეფასების რუბრიკები, ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე არსებობს დიაგნოსტირების, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა, რასაც მოწმობს სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უმეტესწილად შეესაბამება ესგ მიზნებს, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს,იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები,ურთიერთშეფასება ,თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ვალიდურია და შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზნებს. მათში ინტეგრირებული ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია შესასწავლ თემატიკასთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რა კრიტერიუმებითა და რომელ კომპონენტებზე

	(გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, შედეგები) დაყრდნობით ფასდებიან მოსწავლეები. შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესზე სისტემური დაკვირვებისა და სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული აქტივობების საფუძველზე. მოსწავლეებს წინასწარ ეცნობებათ ფესტივალებზე მათი შედეგების შეფასების კრიტერიუმებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. იგი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ და თანმიმდევრულ შეფასებას, ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს და ხელს უწყობს შეფასების პროცესის სიცხადესა და თანასწორობას ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. დოკუმენტის თანახმად მას განსაზღვრული ჰყავს ვერიფიკატორთა გუნდი. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საგანში განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში ვიზიტისას, სკოლამ წარმოადგინა გასული წლების შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების მტკიცებულებები. კერძოდ, სკოლა ინახავს, საგნობრივ კათედრებზე, შესრულებულ შემაჯამებელ დავალებებსა და მათი შეფასების რუბრიკებს. ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
  - სამეურვეო საბჭოს ოქმი;

- კათედრის შეხვედრის ოქმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციის რევიზიით დასტურდება, სწავლების პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ, გრიფმინიჭებული და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ სამუშაო რვეულებს, რუკებს, გლობუსებს, პოსტერებს, დამატებითი ელექტონული სასწავლო რესურსებს (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული ბმულები). სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, რაც საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ამასთან პედაგოგები აქტიურად იყენებენ დამხმარე სახელმძღვანელოებს, თვალსაჩინოებებს; აქვთ შესაბამისი მატერიალური რესურსი, კომპიუტერები და ინტერნეტთან წვდომა სხვადასხვა ელექტრონული ბმულების, აუდიო თუ ვიდეო მასალის საგაკვეთილო პროცესში გამოსაყენებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ძირითად რესურსს გრიფირებული სახელძღვანელოები და სამუშაო რვეულები წარმოადგენს. აქტიურად იყენებენ დამხმარე ვიდეო-აუდიო მასალას,თვალსაჩინოებებს და ტექნოლოგიებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსები), რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიურობასა და ინტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა სასწავლო პროცესის დროს იყენებს ძირითად რესურსს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, ასევე კურიკულუმით განსაზღვრულ რესურსს, მაგრამ დამხმარე სახელმძღვალელოს გამოყენების ინტენსივობა და ავტორები არ ფიქსირდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებულ და კურიკულუმით ასახულ თემებში გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს და სპორტულ ინვენტარს შესაბამისი გამოყენება აქვს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილია შესაბამისი საგანმანათლებლო მასალები და ციფრული პლატფორმები, ხოლო გასაუბრებისას მასწავლებელმა დაასახელა პრაქტიკაში გამოყენებული რესურსები, როგორიცაა Scratch, Canva, Kahoot, Code.org და სხვა. აღნიშნული მიუთითებს ტექნოლოგიების მიზანმიმართულ ინტეგრაციაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა იყენებს მრავალფეროვან დამხმარე რესურსებს, თუმცა ვალიდაციის პროცესი ყოველთვის არ არის დოკუმენტურად ასახული. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები ინდივიდუალურად ახდენენ მასალების სელექციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების რესურსებში ასახულია სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფმინიჭებულია და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. კათედრას აქვს მზაობა თავად შექმნან დამატებითი რესურსები და მოახდინონ მათი ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე დამატებითი რესურსების შერჩევა ხდება კათედრაში შემავალი პედაგოგების ურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას,ყველა დამხმარე რესურსი შესსაბამება სასწავლო თემებს/საკითხებს, ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებლების მიერ ურთიერთშეთანხმებულია და ესგ მიემართება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე დამატებითი რესურსების შერჩევა ხდება სურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრის დონეზე, რის შემდეგაც აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მასალების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ პრიორიტეტებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული რესურსების, მათ შორის სპორტული ინვენტარის, შეფასება და ვალიდაცია ხორციელდება შესაბამის კათედრასთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი წინასწარ შეფასებასა და შემოწმებას სისწორის, ხარისხის, ასაკობრივი შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და მიზანშეწონილი რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რაც გულისხმობს კვლევითი კომპონენტის დასუსტებასა და უგულებელყოფას. შესაბამისად, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა 2027

	წლის 10 მაისამდე გეგმავს შენობის ერთ-ერთ ოთახში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას. სკოლამ 2026 წლის 26 იანვარს №62724 წერილით მიმართა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობისა და დამატებით რესურსად ვირტუალური ლაბორატორიის შესაძენად მხარდაჭერის შესახებ. ამდენად, ექსპერტმა ჩათვალა, რომ **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია,** რომ სკოლამ შესაბამისობის გათვალიწინებულ ვადაში, 2027 წლის 10 მაისამდე, სკოლის შენობის ერთ-ერთ ოთახში, უნდა მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რათა მოსწავლეებმა შეძლონ კვლევებში მონაწილეობა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულებია. ისინი გამდიდებულია ტექსტებით, რუკებით, ცხრილებით, დიაგრამებით, რომლებიც სხვადასხვა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე აქვს რუკები, გლობუსები, თვალსაჩნოება, ინტერნეტი, პროექტორი, კომპიუტერები, რომლებიც დამატებითი ციფრული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი : კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი, პრინტერი, გამართული ინტერნეტი და რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა საკმარისია კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს შესაბამისი მატერიალური/არამატერიალური რესურსით. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	საგნობრივი კათედრის ფარგლებში ნორმის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო რესურსების მობილიზება და ადაპტირება, რაც თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული გარე სპორტული მოედანი, სპორტ დარბაზი, სპორტული ინვენტარი და ტექნიკური რესურსები საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები (კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორი, პრინტერი, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, გამართული ინტერნეტი და ციფრულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა) უზრუნველყოფს ტექნოლოგიების სწავლების ეფექტიანად განხორციელებას. საგნობრივი კათედრის ფარგლებში ხორციელდება რესურსების მიზნობრივი გამოყენება, განახლება და ადაპტირება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**
   სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებელი არის კანონმდებლობის მოთხოვნასთან შესაბამისად დადასტურებული კომპეტენციებით. სკოლას ჰყავს 3 წამყვანი და 18 უფროსი მასწავლებელი. სკოლას არ ჰყავს მენტორი მასწავლებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვალიდაციის წესი;

- ინვეტარიზაციის დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სკოლაში სასწავლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი დეტალურად არის გაწერილი და რამდენიმე ეტაპს მოიცავს. დოკუმენტი აღწერს პროცესებზე პასუხისმგებელ პირებს და მათ ფუნქცია-მოვალეობებს. მონიტორინგი ამოწმებს, მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად. შეფასება კი უპასუხებს კითხვას, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. კურიკულუმის განვითარება მოიცავს შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგის და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის ფაზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სამომავლოდ, სკოლამ დეტალურად გაწეროს მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, განხორციელების გზები და პერიოდულობა.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება პირდაპირ განსაზღვრავს პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. მთელი წლის განმავლობაში მასწავლებლები აკვირდებიან დანერგვის პროცესს, აგროვებენ მონაცემებს და აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. ამ ანალიზის საფუძველზე ისინი განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას პრობლემების გადასაჭრელად. დირექტორის მოადგილე კი ხელმძღვანელობს სამუშაო შეხვედრებს კათედრის ხელმძღვანელებთან, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიის თანახმად, მასწავლებლები ვალდებულნი არიან, აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილონ მშობლებთან, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლა თავად უნდა აკონკრეტებდეს, რა ფორმით მოხდება მშობლების ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნება სასწავლო პროცესის საჭიროებებს. ეს პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის ყოველწლიურ განახლებას და დასამტკიცებლად მომზადებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სხვა და სხვა ინსტრუმენტი საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. სასწავლო წლის მანძილეზე შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნება და სხვა და სხვა პროექტული ტიპის დავალებების განხორციელება როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლევებელს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს მოსწავლე მრავალფერვან წყაროებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

   სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრადიციული შეფასების მეთოდებით (ტესტები, გამოკითხვა), არამედ აქტიურად იყენებს მრავალფეროვან დავალებებს, რომლებიც აფასებს მოსწავლის კომპლექსურ უნარებს, როგორიც არის შემოქმედებითი უნარები, კვლევითი უნარები, კომუნიკაციის უნარები და სხვა. მოსწავლის შეფასება ხდება არა იზოლირებულად, არამედ სხვადასხვა კონტექსტით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

   სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორიცაა: წერილობითი დავალებები, შემოქმედებითი პროდუქტები, პრაქტიკული დავალებები, ზეპირი პრეზენტაციები (შექმნილი პროდუქტების პრეზენტაცია და მოსწავლეებთან კითხვა-პასუხი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

   სკოლა იყენებს შეფასების მრავალ ინსტრუმენტს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ შეფასებას და არ შემოიფარგლება ერთი ტიპის დავალებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების დოკუმენტები ცხადჰყოფს რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. წარმოდგენილი შემოქმედებითი და პროექტული ტიპის დავალებები ერთის მხრივ მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სცადოს საკუთარი ძალები სხვადასხვა მიმართულებით და მეორეს მხრივ მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, მოსწავლე შეაფასოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების დოკუმენტბი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც აღწერილია სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რაც მოიცავს: სასკოლო კურიკულუმის არსსა და ფუნქციებს; სისტემური დონის რეგულაციებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და პიროვნებებს, როგორებიც არიან კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილეები; პროცესში ჩართულ მხარეებს, როგორებიც არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია; კურიკულუმის განვითარების ძირითად ეტაპებს: შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას, გადასინჯვასა და რევიზიას; კავშირს სხვა დამხმარე და მმართველობით პროცესებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. მთელი წლის განმავლობაში, პედაგოგები აანალიზებენ დანერგვის პროცესს კათედრის სხდომებზე. ისინი აგროვებენ მონაცემებს და განიხილავენ ინოვაციების დანერგვის პერსპექტივას პრობლემების გადასაჭრელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 18 05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: